

მუხლი 49.

უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა

1. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის უფლება სწავლების მეორე წლიდან აქვს სტუდენტს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - უსდ), ან იმ არაკრედიტებულ უსდ-ში, რომლის საგანმანათლებლო პროგრამა კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლებოდა აკრედიტებულად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანის წესით სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე უნივერსიტეტის მიერ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე.
3. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.
4. გადმოყვანის წესით კონკურსანტი უნივერსიტეტში ჩარიცხება იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ფაკულტეტის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით დადგინდა 26 26 სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის და უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის თავსებადობა.
 - 4 1 . დაუშვებელია მობილობის წესით იმ სტუდენტის ჩარიცხვა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტატუსი შეუწყდა:
 - ა) ერთსა და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ (3) კრედიტის მიუღებლობის გამო;
 - ბ) დისციპლინური ქცევის მოთხოვნების უხეში ან სისტემატური დარღვევის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის/პირობების დარღვევისათვის, ან კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში. (27.04.2016წ. N23/4)
 - 4 2 . 41 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების იმ სტატუსშეწყვეტილ სტუდენტებზე, რომლებსაც სურთ ისარგებლონ მობილობის უფლებით ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე.(23/16 18.12.2017)
5. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და/ან წერილობითი ტესტური შეფასების სარეიტინგო ქულა ან გასაუბრების შედეგი.
 - 5 1 . სტუდენტს დაძლეული უნდა ჰქონდეს მიმღებ ფაკულტეტზე ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგამოცდო საგანში. (N23/06, 21.10.2013წ.)
 - 5 2 .

5 1 პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. (N23/9, 2.11.2016წ.)

მუხლი 50.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთ უნივერსიტეტში ჩარიცხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 51.

უნივერსიტეტის ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადაყვანა

1. სტუდენტის ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ სტუდენტის სწავლების მეორე წლიდან და შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების დაწყების წინ.

2. სტუდენტის ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადაყვანა შესაძლებელია, თუ:

ა) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო პროგრამა შეესაბამება მიმღები ფაკულტეტის პროგრამას. სასწავლო პროგრამათა შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს მიმღები ფაკულტეტის დეკანატის და სასწავლო პროგრამების მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის წერილობითი დასკვნით, სადაც დეტალურად მიეთითება პროგრამათა შესაბამისობები და შეუსაბამობები. დასკვნა უნდა შედგეს თითოეული სტუდენტის თაობაზე ინდივიდუალურად;

ა)1 სწავლების მეორე წლიდან გადაყვანის შემთხვევაში სტუდენტს მიღებული უნდა ჰქონდეს 45 კრედიტი მაინც, მომდევნო წლებში სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში კი – სწავლების ბოლო სემესტრში მას მიღებული უნდა ჰქონდეს 20 კრედიტი მაინც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ შეძლო 20 კრედიტის 27 27 მოპოვება. (23/3 20.02.2015)

ა) 2 სტუდენტს დაძლეული უნდა ჰქონდეს მიმღებ ფაკულტეტზე ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგამოცდო საგანში. (23/6 21.10.2013)